

კონფიდენციალურობის პოლიტიკა

1.1 მხარეები ვალდებული არიან ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დაიცვან წინამდებარე ხელშეკრულების კონფიდენციალურობის პირობები. აღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება: (ი) იმ ინფორმაციას, რომელიც არის ან გახდება საჯაროდ ხელმისაწვდომი მხარეთაგან დამოუკიდებლად; (იი) ინფორმაციას, რომლის მოპოვებაც შესაძლებელია სხვა წყაროებიდან; (იიი) ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებაც მოხდება რომელიმე მხარის მიერ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად;

1.2 ამ ხელშეკრულებით მსესხებელი გამსესხებელს ანიჭებს უპირობო და შეუზღუდავ უფლებას, მსესხებლის შესახებ ნებისმიერი (როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური) ინფორმაცია (მათ შორის მსესხებლის პერსონალური მონაცემები და ინფორმაცია მსესხებლის ვალდებულებების შესახებ) ან/დამსესხებელთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტი (მათ შორის გენერალური ხელშეკრულება, სესხის ხელშეკრულება და სხვა საბუთები) მსესხებელთან დამატებითი შეთანხმების გარეშე გადასცეს:

ა) სს „კრედიტინფო საქართველოს“ და სხვა საკრედიტო-საინფორმაციო ბიუროებს, რის შემდეგაც მსესხებელი აღირიცხება შესაბამისი ბიუროს მონაცემთა ბაზაში, ამასთან გამსესხებელი უფლებამოსილია გაეცნოს საკრედიტო-საინფორმაციო ბიუროების ბაზებში აღრიცხული ინფორმაციის მსესხებლის შესახებ (მათ შორის მსესხებლის საკრედიტო ისტორიას);

ბ) ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოს, მათ შორის საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ/დაქვემდებარებულ უწყებებს (სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, შსს მომსახურების სააგენტოს და სხვა მსგავს დაწესებულებებს);

გ) სხვა საფინანსო ინსტიტუტებს (მათ შორის, კომერციულ ბანკებს და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს);

დ) სასამართლოს, არბიტრაჟს, აღსრულების ეროვნულ ბიუროს ან/და ნებისმიერ პირს, რომელიც ჩაერთვება მსესხებლის დავალიანების დაფარვის (მსესხებლისგან ვალის ამოღების) პროცესში;

ე) მსესხებლის სხვა კრედიტორებს, მათი უფლებების დასაცავად;

ვ) გამსესხებლის შვილობილ და სხვა მონათესავე საწარმოებს;

გამსესხებელთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ პირებს (კონტრაქტებს);

ზ) მსესხებლის მიერ მითითებულ საკონტაქტო/ალტერნატიულ პირს.

1.3 გადასაცემი ინფორმაცია ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს: მსესხებლის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, სესხის/ვალდებულების მოცულობას, სესხის მიზნობრიობას, საკომისიოს (პროცენტის), პირგასამტეხლოს, ჯარიმისან/და სხვა გადასახდელის ოდენობას, მსესხებლის მიერ სესხთან/ვალდებულებებთან დაკავშირებით განხორციელებულ გადახდებს, დავალიანების ოდენობას, მონაცემებს სასამართლო/საარბიტრაჟო განხილვის და სააღსრულებო წარმოების/გამარტივებული წარმოების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ.

1.4 მსესხებელი გამსესხებელს ანიჭებს უპირობო უფლებას ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ნებისმიერ დროს, მსესხებლის დამატებითი თანხმობის გარეშე შეუზღუდავად (ნებისმიერი მოცულობითა და რაოდენობით):

ა) მოითხოვოს და მიიღოს მსესხებლის შესახებ ნებისმიერ პირთან (მათ შორის ამ ხელშეკრულების 3 პუნქტში ჩამოთვლილ პირებთან) ან/და ადმინისტრაციულ ორგანოში (მათ შორის სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, შსს მომსახურების სააგენტოს ან/და მსგავსი უფლებამოსილების მქონე სხვა ორგანოს/პირის მონაცემთა ბაზაში) არსებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია (მათ შორის პერსონალური მონაცემები, ჩანაწერები ან/და საბუთები);

ბ) ნებისმიერი საშუალებით გაავრცელოს ინფორმაცია მსესხებლის მიერ გამსესხებელთან გაფორმებული ნებისმიერი დოკუმენტის ნებისმიერი პირობის დარღვევის შესახებ.

გ) გამსესხებელი მსესხებელს ათავისუფლებს ამ ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული/გაცემული ინფორმაციის საიდუმლოების დაცვის ვალდებულებისგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და უარს აცხადებს ზემოხსენებულ პუნქტში აღწერილი ინფორმაციის გამსესხებლის მიერ გამჟღავნებით, გავრცელებით ან/და მესამე პირისთვის გადაცემით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე.

1.5 მსესხებელი თანახმაა, ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ ნებისმიერ დროს ნებისმიერი მარკეტინგული ან/და სხვა მიზნით (მათ შორის, სარეკლამო კამპანიის ან/და პრომო აქციის ფარგლებში) გამსესხებლისგან ან/და გამსესხებლის მიერ უფლებამოსილი პირ(ებ)ისგან მიიღოს წერილი, მოკლე ტექსტური ან/და სხვა სახის შეტყობინება ან/და სატელეფონო ზარი მსესხებლის მიერ გამსესხებლისთვის მიწოდებულ მისამართ(ებ)ზე ან/და ტელეფონის ნომერზე. მსესხებელს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს გამსესხებელს მისი პერსონალური მონაცემების პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის გამოყენების შეწყვეტა.

1.6 ამ ხელშეკრულების დადებით მსესხებელი აცხადებს თანხმობას, რომ მსესხებელსა და გამსესხებლის წარმომადგენელს/დასაქმებულს შორის განხორციელებული ნებისმიერი სატელეფონო საუბარი დაფიქსირდეს (ჩაიწეროს) გამსესხებლის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში და დავის შემთხვევაში ასეთ ჩანაწერს ჰქონდეს მტკიცებულებითი ძალა (გამოყენებული იქნეს მტკიცებულებად). სატელეფონო საუბრის ჩანაწერი მიიჩნევა გამსესხებლის საკუთრებად და გამსესხებელს უფლება აქვს გამოიყენოს ის ნებისმიერი მიზნით, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.